საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/638
17.07.2024

ბრძანება

638-01-4-202407171437

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 07 თებერვლის N04/101 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 07 თებერვლის N04/101 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ის (ს/ნ 424617365) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ს (ს/ნ 424617365) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების მოთხოვნებს.
4. შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ს (ს/ნ 424617365) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 07 თებერვლის N04/101 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე

ქ. თბილისი

2024

შინაარსი

1. აღწერილობითი ნაწილი 2
1.1. განმცხადებლის პოზიცია 2
1.2. მოვაჭრის პოზიცია 4
2. ნორმატიული რეგულირება 6
3. საქმის შესწავლის დაწყების საფუძველი 11
4. სამოტივაციო ნაწილი 12
4.1. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა 12
4.2. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებები 18
5. სარეზოლუციო ნაწილი 26

1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარდგენილ იქნა მოქალაქე (შემდგომში - განმცხადებელი/მომხმარებელი) 2024 წლის 22 იანვრის №01/327 განცხადება (შემდგომში - განცხადება) - მოვაჭრე/კომპანია შპს „ინფინიტი ენერჯი სერვისის“ (ამჟამად - შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“)(ს/ნ 424617365) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე. სააგენტომ 2024 წლის 07 თებერვლის N04/101 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა მომხმარებლის განცხადების საფუძველზე.

1.1. განმცხადებლის პოზიცია

2024 წლის 22 იანვრის №327 განცხადების თანახმად,
შპს „ინფინიტი ენერჯი სერვისთან“ (ს/ნ 424617365) 2023 წლის 19 სექტემბერს დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა 4.3 კილოვატ/საათის სიმძლავრის მზის სადგურის მიწოდება და მონტაჟი. მომხმარებლის განცხადებით, თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად. პირველი ჩარიცხვის შემდგომ, რაც შეადგენდა 5 380 (ხუთი ათას სამას ოთხმოცი) ლარს, 2023 წლის ოქტომბერში მოვაჭრემ მოიტანა ადგილზე მზის პანელები, ხოლო ნოემბერში შეასრულა სამონტაჟო სამუშაოები. მომხმარებელს მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის გადახდა, რაც შეადგენდა 1 200 (ათას ორასი) აშშ დოლარს, არ განუხორციელებია.

ხელშეკრულებით შეთანხმებულ ნასყიდობის საგანს, ასევე წარმოადგენდა მზის ელექტრო სადგურის შემადგენელი ნაწილი, ჰიბრიდული ინვერტორი. აღნიშნული ნივთის მიწოდება, შეთანხმების შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო ოქტომბრის ბოლომდე.

ამის შემდგომ, განმცხადებლის მტკიცებით, მოვაჭრემ 2023 წლის დეკემბრის დასაწყისისთვის გადაწია ინვერტორის ჩაბარების თარიღი, რადგან ელოდებოდა შესაბამისი ნივთის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსვლას. რის პასუხადაც მომხმარებელმა მოითხოვა გადამზიდი კომპანია Fedex-ის ფოსტის შესაბამისი თრექინგ კოდი, რათა დარწმუნებულიყო მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში და თავად ედევნებინა თვალყური ნივთის ტრანსპორტირებისათვის. მომხმარებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ მოთხოვნას მოჰყვა მოვაჭრის აგრესია და განცხადება იმის შესახებ, რომ წყვეტდა ხელშეკრულებას. მომხმარებლის მტკიცებით, მოვაჭრესთან ბოლო კომუნიკაციისას მან უარი განაცხადა მომხმარებლისთვის ჰიბრიდული ინვერტორის გადაცემაზე და ამის შემდგომ, მოვაჭრის მხრიდან უკუკავშირი აღარ დაფიქსირებულა.

განცხადებაზე თანდართულ მტკიცებულებად წარმოდგენილია ინვოისი, 2 000 აშშ დოლარის ექვივალენტი (5 380; ხუთი ათას სამას ოთხმოცი) ლარის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააგენტოს მიერ მომხმარებლისგან 2024 წლის 01 აპრილის N02/1234 წერილით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეესაბამებოდა მოვაჭრის მიერ სატელეფონოდ განხორციელებული კომუნიკაცია კანონით დადგენილ სტანდარტს.

მომხმარებლის მიერ 2024 წლის 08 აპრილის N01/2023 წერილით მოწოდებული ინფორმაციით, მომხმარებელს მოვაჭრის დასახელების და სხვა დეტალების შესახებ პირველად ეცნობა 2023 წლის 15 ოქტომბერს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ამავე წერილით მომხმარებელს ეცნობა ნასყიდობის საგნის დასახელების, არსებითი მახასითებლების, საგარანტიო პირობებისა და ფასის შესახებ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ან ავტომატურ გაგრძელებაზე ინფორმაცია მიწოდებული არ ყოფილა.

სააგენტომ საკითხის ძირეული შესწავლისთვის, 2024 წლის 23 თებერვლის N02/631 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია სადავო ნივთის (ნივთი, რომელიც მომხმარებელს არ მიეწოდა, ინვერტორი) ფუნქციური დანიშნულების შესახებ.

2024 წლის 26 თებერვლის N01/1095 წერილით მომხმარებელმა განმარტა, რომ ინვერტორი დაკავშირებულია მზის სადგურთან სამეურნეო დანიშნულებით და მისი ფუნქციონირება აღნიშნული ნაწილის გარეშე შეუძლებელია. მომხმარებელმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული ნივთის დანიშნულებაა გარდაქმნას მზის პანელების გამომუშავებული ენერგია იმგვარად, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს საყოფაცხოვრებო მიზნებით, ხოლო ზედმეტი ენერგიის მიწოდება მოხდეს ელექტროენერგიის ქსელში.

ამავე წერილით, მომხმარებელი უთითებს, რომ ინვერტორის გარდა, მოვაჭრის მხრიდან არ განხორციელდა შესაბამისი ელექტრო კვანძის გადაცემა და სამონტაჟო სამუშაოების დასრულება. მომხმარებელი ასევე უთითებს, რომ ვინაიდან მოვაჭრე არ ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, მან დაიწყო ახალი კომპანიის ძიება, რომელიც მიაწვდის და დაამონტაჟებს ინვერტორს, ასევე აამუშავებს მზის სადგურს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელი განიხილავს მოვაჭრის მხრიდან ფასის შემცირების შეთავაზებას, კერძოდ, ითხოვს, რომ მომხმარებლის მიერ გადარიცხული თანხიდან დაუბრუნდეს 3 000 ლარი.

სააგენტომ 2024 წლის 29 აპრილის N02/1699 წერილით, გამოითხოვა ინფორმაცია მომხმარებლისგან და დააზუსტებინა მოთხოვნა.

აღნიშნულის პასუხად, მომხმარებელმა 2024 წლის 13 მაისის N01/2596 წერილში განმარტა, რომ მომხმარებლის არაერთი თხოვნის მიუხედავად, მოვაჭრე უარს აცხადებს ხელშეკრულების შესრულებაზე, აქედან გამომდინარე, მომხმარებელი ითხოვს ფასის შემცირებას ჯამში 1 680 აშშ დოლარით, რაც მიღებულია შემდეგი კალკულაციით: მომხმარებლის მიერ მეორე ტრანშად გადასახდელ თანხას (1 200 აშშ დოლარი) დამატებული 480 აშშ დოლარი (სამონტაჟო სამუშაოების ჯამური ოდენობა).

1.2. მოვაჭრის პოზიცია

სააგენტომ, 2024 წლის 26 იანვრის N02/262 წერილით მოვაჭრისგან გამოითხოვა ინფორმაცია განცხადებაში წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით. აგრეთვე, მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- დისტანციურად ვაჭრობის განხორციელებისას, კომპანიის მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობებისა და მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის შესახებ;
- დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ;
- დისტანციურად შეძენილი ნაკლის მქონე ნივთთან მიმართებით მოვაჭრის პოლიტიკის შესახებ;

2024 წლის 26 იანვრის N02/262 წერილის პასუხად, მოვაჭრემ წარმოადგინა პოზიცია, რომლის თანახმად, მოვაჭრემ დაადასტურა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

წერილში მოვაჭრემ განმარტა, რომ მომხმარებელი თავიდანვე ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მზის სადგურის ერთ-ერთი ნაწილი, კერძოდ, ჰიბრიდული ინვერტორი, შესაკვეთი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და მისი მიწოდება განხორციელდებოდა შეკვეთიდან 10 დღის განმავლობაში. მოვაჭრის განმარტებით, მას ჩინური ქარხანის წარმომადგენლებისგან 2023 წლის 01 ნოემბერს ეცნობა, რომ შეკვეთა მზად იქნებოდა 2023 წლის 20 ნოემბრამდე, რის შემდეგაც გადმოიგზავნებოდა საქართველოში. მოვაჭრის განცხადებით, აღნიშნული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა მომხმარებელს, რასაც მომხმარებლის მხრიდან მოჰყვა აგრესია. აღნიშნულის საპასუხოდ, მოვაჭრემ მომხმარებელს განუცხადა, რომ მომხმარებლის მიერ პირველ ტრანშად გადახდილი თანხის ექვივალენტი საქონელი და მომსახურება უკვე გაწეული იყო, რაც მოიაზრებდა მეტალის საყრდენი კონსტრუქციის პანელების მონტაჟსა და ელექტრო-ენერგეტიკული წრედების შეკვრას, ინვერტორის გადაცემაზე კი მოვაჭრემ უარი განაცხადა, რის შესაბამისადაც პრეტენზიას აღარ გამოთქვამს მომხმარებლის მიერ მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის გადაცემაზე.

მოვაჭრის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა საბანკო საგადახდო დავალებების ასლები, რომლებიც ადასტურებს მოვაჭრის მხიდან თანხის ჩინეთში გადარიცხვას, ასევე წარმოდგენილ იქნა გადამზიდი კომპანია ფედექსის ქვითრის ასლი, რაც ადასტურებს ჩინეთიდან ნივთის 2023 წლის 29 ნომბერს გამოგზავნის ფაქტს.

ამავე წერილში მოვაჭრე უთითებს, რომ მომხმარებელმა მოვაჭრეს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია სახურავის ფერდის დახრის გრადუსულ მაჩვენებელთან დაკავშირებით, რაც ქმნიდა სერიოზულ წინაღობას სამუშაო პროცესში.

სააგენტოს მიერ 2024 წლის 26 მარტის წერილით N02/1171 მოვაჭრისგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია კომპანიის მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობებისა და მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის შესახებ, ასევე კონკრეტულ მომხმარებელთან განხორციელებული კომუნიკაციის შესახებ.

მოვაჭრის მიერ 2024 წლის 03 აპრილის N01/1910 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიის მიერ წინასახელშეკრულებო პერიოდში ინფორმაციის მიწოდების სტანდარტული ფორმა დადგენილი არ არის და ყველა შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას გამომდინარე იქიდან თუ რა ამოცანის გადაწყვეტაში ესაჭიროება მომხმარებელს მზის სადგური. მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ნასყიდობის საგნის შესახებ ინფორმაცია ყველა მომხმარებელს ეწოდება ინდივიდუალურად მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სპეციფიკაციების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

სააგენტომ საკითხის ძირეული მოკვლევისათვის, 2024 წლის 26 თებერვლის N 02/632 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია სადავო ნივთის (ნივთი, რომელიც მომხმარებელს არ მიეწოდა, ინვერტორი) ფუნქციური დანიშნულების შესახებ.

სააგეტოში წარმოდგენილი 2024 წლის 29 თებერვალს 01/1174 წერილით მოვაჭრე განმარტავს, რომ ჰიბრიდული ინვერტორის საშუალებით ხდება მზის პანელების მიერ გამომუშავებული მუდმივი დენის გარდაქმნა ცვალებად დენად, ასევე სამარაგო აკუმულატორების დამუხტვა და სახელმწიფო ელექტრონულ ქსელთან რევერსული დაკავშირება. მოვაჭრე ასევე აფიქსირებს, რომ აღნიშნული ინვერტორი შეიძლება ჩანაცვლდეს ნებისმიერი სხვა სახის ინვერტორით.

მოვაჭრემ 2024 წლის 25 აპრილის N01/2396 წერილით ასევე წარმოადგინა ინფორმაცია მის მიერ მიწოდებული ნასყიდობის საგნის/მომსახურების შესახებ. მოვაჭრე უთითებს, რომ მის მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული იქნა 1520 აშშ დოლარის ღირებულების 8 მზის პანელი, 200 აშშ დოლარის სამონტაჟო მასალა (მეტალის კონსტრუქცია, ქანჩი, ჭანჭიკი, შუასადები, სამაგრები და ა.შ.) და გაწეულია 280 აშშ დოლარის მომსახურება (სახურავზე რკინის კონსტრუქციის მონტაჟი, პანელების მონტაჟი და ენერგო წრედების შეკვრა). მოვაჭრის მითითებით, მომხმარებელს არ გადაეცა 1 100 აშშ დოლარის ღირებულების ინვერტორი და არ შესრულდა 100 აშშ დოლარის ღირებულების სამონტაჟო სამუშაოები.

სააგენტოს მიერ 2024 წლის 17 აპრილის N02/1542 წერილით, ასევე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია სადავო ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით.

აღნიშნული წერილის საპასუხოდ, მოვაჭრემ თანდართული ინვოისით წარმოადგინა 2024 წლის 19 აპრილის N01/2291წერილი, სადაც თანდართული ინვოისით წარმოდგენილია ინვერტორის თვითღირებულება ტრანსპორტირებასთან ერთად, რაც შეადგენს 7,306.00 ჩინურ იუანს. ამავე წერილით, მოვაჭრე უთითებს, რომ აღნიშნულ თანხას ემატება გემის მომსახურება - 100 ლარი, განბაჟება - ნივთის ღირებულების 18 % , საკურიერო მომსახურების - 50 ლარი და კომპანიის მოგება - ნივთის ღირებულების 20 %. აღნიშნული თანხის ჯამური დაანგარიშება მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი არ არის.

2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას**.**

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კერძოდ, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს **საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ** და ***გასაგებად*** მიაწოდოს **უტყუარი და სრული ინფორმაცია.** ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა

შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ინფორმაციის მიწოდების სტანდარტს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დროს. აღნიშნული პუნქტის თანახამდ დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს, ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, დამატებით, მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან, აგრეთვე იმ მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართისა და ვინაობის თაობაზე, რომლის სახელითაც მოქმედებს იგი;

ბ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, გადასახადების ჩათვლით, ხოლო თუ აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე; არსებობის შემთხვევაში – ყველა დამატებითი ხარჯის შესახებ, მიწოდების, გადაზიდვისა და საფოსტო ხარჯების ჩათვლით, ხოლო თუ ასეთი ხარჯების წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია – ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები იყოს გასაწევი. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების ან საქონლის ან მომსახურების გამოწერით მიღების ხელშეკრულების შემთხვევაში ფასი გულისხმობს სრულ ფასს გადახდის თითოეული პერიოდისთვის. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახადი, სრული

ფასი უნდა აღნიშნავდეს ყოველთვიურ სრულ გადასახადს. თუ სრული გადასახადის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მიწოდებული უნდა იქნეს მისი გამოთვლის წესი;

გ) ხელშეკრულების დადების დროს დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენების ხარჯის შესახებ, თუ ეს ხარჯი ძირითად ფასში არ შედის;

დ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, აგრეთვე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა;

ე) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს

ვერ იტყვის, თუ, ამ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია;

ვ) დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მომხმარებლის მიერ გასაწევი ხარჯის შესახებ, თუ, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით დაბრუნება შეუძლებელია;

ზ) ქცევის კოდექსის არსებობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ;

თ) მოვაჭრის მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებლის მიერ წარსადგენი ან გადასახდელი ფინანსური უზრუნველყოფის პირობების შესახებ;

ი) თუ შესაძლებელია – ინფორმაცია სასამართლოს გარეშე გასაჩივრების წესისა და ანაზღაურების მიღების შესახებ.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია ვალდებულია მოვაჭრე ვალდებულია უზრუნველყოს საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეულის ფასის მითითება აუცილებელი არ არის, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.

კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია მომხმარებლის უფლება ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ რათქმაუნდა სახეზე არ გვაქვს ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი გამონაკლისები.

კანონის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ

შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

კანონის მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილია, რომ საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. ხოლო საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება. მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ამ კანონის მე-17–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის (შემდგომში - 2011/83 დირექტივა) მიზანია, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

2011/83 დირექტივის მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებლის უფლებების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დირექტივის მე-3 თავის მე–5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე–5 მუხლი ძირითადად შეიცავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე–6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს. მართალია მე–6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე–5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2011/83 დირექტივის მე–6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ამავე დირექტივის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გარდა დირექტივის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს 14 დღიანი პერიოდი, რათა გავიდეს ხელშეკრულებიდან უპირობოდ, ყოველგვარი მიზეზის მითითებისა და დამატებითი ხარჯების გადახდისა გარდა დირექტივის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის (შემდგომში - 2019/771 დირექტივა) მიზანია შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებს ხელშეწყობა და ამავდროულად, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა. მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების თაობაზე საერთო წესების დადგენა კერძოდ, ისეთი წესების შემუშავება, რომელიც აწესრიგებს როგორც, საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობას, ასევე მოიცავს მარეგულირებელ წესებს, მომხმარებლის დაცვის საშუალებების და ამ საშუალებების გამოყენების გზების თაობაზე ხელშეკრულების შეუსაბამობის შემთხვევაში.

2019/771 დირექტივის მე-13 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა ან საქონლის ფასის პროპორციული შემცირება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

3. საქმის შესწავლის დაწყების საფუძველი

კანონი განსაზღვრავს საქმის შესწავლის დაწყების საფუძვლებს. კერძოდ, კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლის დაწყების საფუძველია გონივრული ვარაუდი, რომ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისას, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიადგეს.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის არსებობის შეფასებისას სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი უნარი, გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცვათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.[1]

ამ კუთხით სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის 2020/1828 დირექტივაზე (შემდგომში - 2020/1828 დირექტივა), რომლისმიხედვით, მომხმარებელთა დაცვის სამართალი იცავს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებებსა და

[1] Cass Crim, 20 May, 1985, bull crim 485

ინტერესებს მოვაჭრის ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ერთობლივად საზიანო იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის. აღსანიშნავია, რომ 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განმარტავს, რომ კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ჯგუფური ინტერესი გულისხმობს არა ცალკეული მომხმარებლის ინდივიდუალური ინტერესს, არამედ მომხმარებელთა გარკვეული წრის ერთობლივ ინტერესს. კოლექტიური/ჯგუფური ინტერესის კონცეფცია განსხვავდება ინდივიდუალური ინტერესების ჯამისაგან და მეტწილად ფოკუსირებულია მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების სამომავლო ხელყოფის პრევენციაზე და არა რამოდენიმე მომხმარებლის ხელყოფილი ინდივიდუალური უფლებების აღდგენაზე. ამასთან, აღნიშნული არ ზღუდავს კონკრეტულ მომხმარებელს გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და მისი, როგორც მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს სააგენტოს.

განსახილველ საქმეში, მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებიდან გამოიკვეთა, რომ მოვაჭრე სოციალურ ქსელში თავისი Facebook პლატფორმის მეშვეობით, მომხმარებლებს არ აწვდიდა ინფორმაციას თავისი სავაჭრო პოლიტიკის შესახებ და მოთხოვნის მიუხედავად, არც სააგენტოში წარმოადგინა აღნიშნული ინფორმაცია.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე თავისი Facebook პლატფორმის (ფეისბუქ გვერდის მისამართი - https://www.facebook.com/infiniteenergy.geo) მეშვეობით, მომხმარებელს არ აწვდის სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებლისთვის განკუთვნილი სავაჭრო წესების და პირობების ერთობლიობა) შესახებ ინფორმაციას, სავარაუდო ზიანი შეეძლო მიეყენებინა არა მხოლოდ კონკრეტული მომხმარებელისთვის, არამედ, ნებისმიერი პოტენციური მომხმარებელისთვის, რომელსაც ექნებოდა სურვილი, მოვაჭრისგან შეეძინა საქონელი ან მომსახურება. შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 07 თებერვლის N04/101 ბრძანების საფუძველზე დაიწყო განცხადებაში დასმული სავარაუდო სამართალდარღვევების შესწავლა.

4. სამოტივაციო ნაწილი

4.1. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა

განსახილველ საქმეში მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრეზე მოვაჭრის უარყოფითი გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ნაწილში არ შეესაბამება მოვაჭრის საქმიანობა კანონის მოთხოვნებს.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ადგენს ინფორმირებული მომხმარებლის მაღალ სტანდარტს, ვინაიდან მომხმარებელმა სწორედ მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მიიღოს გააზრებული და მისი ნების შესაბამისი გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, სამომხმარებლო ურთიერთობების ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო ხასიათი, რამაც შესაძლოა საშუალო მომხმარებლისთვის შექმნას არაგონივრული ტვირთი ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულს აბალანსებს მომხმარებლის ინფორმირებულობის სტანდარტი, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - ევროკავშირის სასამართლო) არაერთი გადაწყვეტილებითაა განმტკიცებული. საქმეზე Content Service Ltd v. Bundesarbeitskammer" ევროკავშირის სასამართლომ განმარტა, რომ მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თავად მოიძიებენ ამ ინფორმაციას და მომხმარებლები პასიურები უნდა რჩებოდნენ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. [2]

გასათვალისწინებელია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით; მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; ასევე მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ, კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, აგრეთვე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა; ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ, კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია; ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გასწიოს საქონლის დაბრუნების ხარჯი, თუ, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით დაბრუნება შეუძლებელია.

კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივის მე-5 მუხლის ანალოგს წარმოადგენს, რომელიც ინტერპრეტირებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში. მათ შორის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო საქმეზე NC-649/17 აღნიშნავს, რომ ევროკავშირის 2011/83 დირექტივის მიზანია სამომხმარებლო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა.[3]

კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრეს აკისრებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ ის ხელშეკრულების ნაკლებად დაცული მხარეა, მის კონტრაჰენტს, მოვაჭრეს ავალდებულებს მაქსიმალურად მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება. მას უნდა

[2] Case C-49/11 Content Services Ltd v Bundesarbeitskammer

[3] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #C-649/17

შეეძლოს გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლასთან დაკავშირებით მიიღოს რაციონალურად, გააზრებულად და რაც ყველაზე მთავარია, საკმარისი და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე. ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“ და დაიცვას მისი ეკონომიკური ქცევაც. ქართული კანონმდებლობის მსგავსად ანალოგიურადაა განმარტებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირის №2011/83 დირექტივაშიც.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო №C-649/17 საქმეზე აღნიშნავს, რომ ევროკავშირის №2011/83 დირექტივის მიზანია სამომხმარებლო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა - მათ შორის, დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების დროს.[4]

მოვაჭრე კომერციული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმით. დირექტივა მოვაჭრეებს ავალდებულებს უზრუნველყონ კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებები[5], რაც მომხმარებლებს გაუადვილებს მოვაჭრესთან დაკავშირებას.

№C-430/17 საქმეზე სასამართლო განმარტავს დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობას სამომხმარებლო ურთიერთობის ეფექტური განხორციელებისთვის. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, მომხმარებლისთვის ნივთის ან მისაღები მომსახურების შესახებ მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია განსაზღვრავს მომხმარებლის ნებას, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებით.[6]

ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისათვის უმნიშვნელოვანესი დაცვის მექანიზმია. მომხმარებლის სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ნაკლები ინფორმირებულობაა, ეს მას სათანადო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ართმევს, თუმცა ვალდებულების ამ სახის არსებობა, თავისუფალი ნების ფორმირებისა და გამოვლენის დაცვის გარანტიაა.[7]

საქმეში წარმოდგენილია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული 2023 წლის 19 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს, აღნიშნული ხელშეკრულება განეკუთვნება თუ არა დისტანციურად დადებული ხელშეკრულების კატეგორიას, რათა დადგინდეს თუ რა სტანდარტით წარმოეშვება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

საკითხის მოსაკვლევად, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია მხარეებისგან. მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის 27 მარტის N01/1700 წერილის მიხედვით, მოვაჭრესთან კომუნიკაცია შედგა სატელეფონოდ, ასევე აპლიკაციების - whatsapp-ისა და viber-ის საშულებით.

---

[4] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #C-649/17

[5] იქვე, აბზაცი 53

[6] 6 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #C-430/17

[7] თ.ლაკერბაია, ვ.ზაალიშვილი, თ.ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), შზსუ, თბილისი 2018, გვ.122

მომხმარებელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიეწოდა შემდეგი ინფორმაცია: მზის სადგურის მონტაჟის მთლიანი ღირებულების შესახებ, ცალკეული კომპონენტების სამუშაოების ფასის შესახებ, გადახდის პირობების და ხელშეკრულების ვადის შესახებ. მომხმარებელს ასევე ელექტორნული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა ხელშეკრულების შესრულების ადგილზე.

დისტანციური ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა შესაძლოა გამოიყენონ დისტანციური კომუნიკაციების საშუალებები კომბინირებულად, მაგალითად, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ერთდროულად სატელეფონოდ და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ის ფაქტი, რომ მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შემდეგ, ნივთის გადაცემის ან თანხის გადახდის დროს, არ ცვლის დისტანციური ხელშეკრულების კლასიფიკაციას.[8]

დისტანციური ხელშეკრულების განმარტება უნდა მოიცავდეს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულება იდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ფარგლებში, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან მეტი საშუალების ექსკლუზიური გამოყენებით (როგორიცაა საფოსტო შეკვეთა, ინტერნეტი, ტელეფონი ან ფაქსი) ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი გაფორმების დროს. აღნიშნულმა განმარტებამ ასევე უნდა მოიცვას ისეთი სიტუაციები, როდესაც მომხმარებელი სტუმრობს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსს მხოლოდ საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით და შემდეგ მოლაპარაკებას აწარმოებს და ხელშეკრულებას დებს დისტანციურად.[9]

დისტანციურ კომუნიკაციაში იგულისხმება ხელშეკრულების დადებაზე წინადადების შეთავაზება, ისევე, როგორც ამ შეთავაზების მიღება და არსებით პირობებზე შეთანხმება ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა დისტანციური კომუნიკაციის მეთოდის გამოყენებით. [10]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ან/და რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. **ნასყიდობ**ის ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების **არსებითი პირობებია**: მხარეები, საგანი და ფასი, რომლებზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება[11].

მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, რაც მოვაჭრეს სადავოდ არ გაუხდია, სააგენტო ასკვნის, რომ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება განხორციელდა დისტანციურად, **კერძოდ, სატელეფონო კომუნიკაციისა და ელექტონული ფოსტის, აპლიკაციების -** whatsapp-ისა და viber-ის **საშუალებით** კომბინირებულად,

---

[8] EUROPEAN COMMISSION, “COMMISSION NOTICE Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights”

[9] Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights)

[10] Fina S., The Consumer’s Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in

[11] შდრ: ეკატერინე ბაღიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 327, ველი 8, თბილისი, 2019

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი განხორციელდა მზის სადგურის მომხმარებლისთვის გადაცემის დღეს. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულება უნდა მივიჩნიოთ დისტანციურ ხელშეკრულებად.

მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად და მის მიერ საქმიანობისთვის გამოყენებულ ფეისბუქ გვერდზე (სავაჭრო გვერდი - https://www.facebook.com/infiniteenergy.geo) ასახული ინფორმაცია არ არის სრული და კანონთან თავსებადი. მოვაჭრის სავაჭრო პლატფორმის შეფასების შედეგად დგინდება, რომ პლატფორმაზე განთავსებული არ არის არანაირი ინფორმაცია, რაც მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს.

სავაჭრო გვერდზე კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით სავალდებულოდ მისაწოდებელი სხვა ინფორმაცია განთავსებული არ არის, კერძოდ: ა) საქონლის მწარმოებლისა და საქონლის შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით; ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; გ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას; დ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ; ე) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ; ვ) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა; ზ) ხელშეკრულების დადების დროს დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენების ხარჯის შესახებ, თუ ეს ხარჯი ძირითად ფასში არ შედის; თ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, აგრეთვე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა;

კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რომელიც არ იძლევა საკმარის დროსა და ადგილს იმისთვის, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდოს, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს სულ მცირე თავისი ვინაობის (სახელწოდების) შესახებ ინფორმაცია და ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. დისტანციური ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამავე მუხლის მიხედვით, დისტანციური ხელშეკრულების სატელეფონო კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დადების შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია სატელეფონო

კომუნიკაციის დაწყებისთანავე მომხმარებელს, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მიაწოდოს თავისი ვინაობის (სახელწოდების) ან იმ პირის ვინაობის შესახებ ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს იგი, და აცნობოს სატელეფონო კომუნიკაციის კომერციული მიზნის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხის მოსაკვლევად, სააგენტოს მიერ 2024 წლის 01 აპრილის N02/1234 წერილით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მომხმარებლისგან იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეესაბამებოდა მოვაჭრის მიერ სატელეფონოდ განხორციელებული კომუნიკაცია კანონის მე-12 მუხლით დადგენილ სტანდარტს.

მომხმარებლის მიერ 2024 წლის 08 აპრილის წერილით N01/2023 მოწოდებული ინფორმაციით, მომხმარებელს მოვაჭრის დასახელების და სხვა დეტალების შესახებ პირველად ეცნობა 2023 წლის 15 ოქტომბერს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ამავე წერილით მომხმარებელს ეცნობა ნასყიდობის საგნის დასახელების, არსებითი მახასითებლების და ფასის შესახებ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ან ავტომატურ გაგრძელებაზე ინფორმაცია მიწოდებული არ ყოფილა, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ 2024 წლის 26 მარტის წერილით N02/1171 გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მოვაჭრისგან. მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის 03 აპრილის N01/1910 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიის მიერ წინასახელშეკრულებო პერიოდში ინფორმაციის მიწოდების სტანდარტული ფორმა დადგენილი არ არის, ყველა შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას გამომდინარე იქიდან თუ რა ამოცანის გადაწყვეტაში ესაჭიროება მომხმარებელს მზის სადგური. მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ნასყიდობის საგნის შესახებ ინფორმაცია ყველა მომხმარებელს ეწოდება ინდივიდუალურად მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სპეციფიკაციების და ყველა გარემოების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კანონის მ-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მე-5, მე-6, მე-7 და მე-9–მე-12 მუხლებით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება.

2011/83 დირექტივის მე–6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმის შესახებ, მიაწოდა თუ არა მომხმარებელს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ „კ“ და მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ხელშეკრულების დადებამდე, შესაბამისად, იკვეთება კანონის მე-5 და მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.

მოვაჭრე ასევე ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელისთვის კანონის შესაბამისი, სრული და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას კანონისმიერი გარანტიის ვადის, მტკიცების ტვირთის განაწილების, საქონლის შეცვლისა და შეკეთების შესახებ.

ხელშეკრულებაში წარმოდგენილია კომერციული გარანტიის პირობები, თუმცა მომხმარებელს ინფორმაცია არ ეწოდება კანონისმიერი გარანტიის შესახებ, რაც წინააღმდგეგობაში მოდის კანონის მე-5 მუხლის 3) ქვეპუნქტთან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოვაჭრის მხრიდან ადგილი აქვს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნების დარღვევას.

4.2. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებები

საქმის შესწავლის პროცესში სააგენტომ ასევე გამოიკვლია მოვაჭრის მიერ ს უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი. ინფორმაციის მიწოდების სტანდარტის გარდა, მოვაჭრის მიერ არ არის დაცული კანონის მოთხოვნები ნაკლის აღმოფხვრის ან/და ნივთის შეცვლის თვალსაზრისით.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.

კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. საქმის გარემოებების შეფასების შედეგად კი დგინდება, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს არ მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

N2011/83/EC დირექტივის მეორე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად „ნასყიდობის ხელშეკრულება“ გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად მოვაჭრე მომხმარებელს გადასცემს ან იღებს ვალდებულებას გადასცეს საკუთრება საქონელზე და მომხმარებელი იხდის მის საფასურს ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისი საფასური, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის ობიექტებს წარმოადგენს როგორც საქონელი, ასევე მომსახურება.

საქმეში წარმოდგენილი მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული 2024 წლის 19 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული მზის ელექტრო სადგურის შემადგენელი ნაწილები და შესაბამისი სამონტაჟო სამუშაოები.

აღნიშნული ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული მზის ელექტრო სადგურის შემადგენელი ნაწილებია: მზის ფოტოგალვანური პანელი 540 ვატი - 8 ცალი, ჰიბრიდული

ინვერტორი 5 კ. ვტ. – 1 ცალი, PV კაბელი - 30 მეტრი, კონექტორები - 4 წყვილი, კაბელის გოფრე - 15 მეტრი, მეტალის მილკვადრატი 100/80 – 3 მეტრი, მეტალის მილკვადრატი 20/30 – 36 მეტრი, ქანჭი, ჭანჭიკი, შუასადები, კუთხოვანა, თვითხრახნისი - 0,5.

მომხმარებლის მიერ 2024 წლის 15 მაისის 01/2643 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, მომხმარებელს მიეწოდა მხოლოდ მზის ფოტოგალვანური პანელი 540 ვ - 8 ცალი; მეტალის მილკვადრატი 100/80 – 3 მეტრი, შესასრულებელი სარემონტო სამუშაოებიდან კი შესრულდა მხოლოდ მზის პანელების მონტაჟი. მომხმარებლის მითითებით არ განხორციელებულა მზის სადგურის შემადგენელი შემდეგი ნაწილების გადაცემა: ჰიბრიდული ინვერტორი; PV კაბელი - 30 მეტრი, კონექტორები - 4 წყვილი, კაბელის გოფრე - 15 მეტრი. რაც შეეხება სამონტაჟო სამუშაოებს არ შესრულებულა: ელექტრო ენერგიული წრედების შეკვრა, ინვერტორების მონტაჟი და სისტემის ნეტო აღრიცხვის ქსელში ჩართვა. მომხმარებელი ამავე წერილში უთითებს, რომ მოვაჭრემ ვერ დაასრულა მეტალის საყრდენი კონსტრუქციის მონტაჟი, რასაც მოჰყვა შესაბამისი დაპირება იმის შესახებ, რომ ინვერტორის მონტაჟის შემდეგ აღადგენდა შეცდომით გახვრეტილი სახურავის ნაწილს.

მოვაჭრე შედავებას არ ახოციელებს მომხმარებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან მიმართებით ჰიბრიდული ინვერტორის გადაცემასა და მონტაჟის ნაწილში მის მიერ წარმოდგენილ 2024 წლის 04 თებერვლის წერილში, სადაც აღწერს დეტალურ ინფორმაციას მომხმარებლისთვის მიწოდებული მზის სადგურის ნაწილების/მომსახურების შესახებ.

კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონის მე-17–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა. თუ კი მოვაჭრის მიერ წარმოდგენილია კომერციული საგარანტიო პირობები, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის კანონისმიერ გარანტიის დანაწესთან საგარანტიო ვადად ჩაითვლება შეთანხმებული ვადა. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მზის პანელების საგარანტიო ვადა შეადგენს 15 წელს.

შესაბამისად, საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მომხმარებელს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. **ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, სწორედ მოვაჭრეა ვალდებული ამტკიცოს, რომ მიწოდებული ნასყიდობის საგანი არის უნაკლო. აქედან გამომდინარე, მოვაჭრის მხრიდან უფლების აღდგენის შემთვევაშიც, სწორედ მოვაჭრის მტკიცების კატეგორიაში შემავალ გარემოებას წარმოადგენს მომხმარებლისთვის უფლების კანონშესაბამისად აღდგენის ფაქტი.**

აღნიშნულ შემთხვევაში, მომხმარებელმა საქონლის ნაკლთან დაკავშირებით მოვაჭრეს პრეტენზია წარუდგინა ნასყიდობის საგნის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში.

2024 წლის 05 თებერვლის N01/675 წერილით მოვაჭრემ დაადასტურა, რომ მას მომხმარებლისთვის არ გადაუცია მზის სადგურის შემადგენელი ნაწილი, კონკრეტულად ჰიბრიდული ინვერტორი და მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია იმის შესახებ, რომ ნივთის გადაცემას არც სამომავლოდ არ აპირებს.

მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების შეჯერების საფუძველზე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევა, რომ მოვაჭრეს მომხმარებლისთვის არ გადაუცია ჰიბრიდული ინვერტორი და მისი სამონტაჟო მასალები, ამასთან არ განუხორციელებია არც შესაბამისი სამონტაჟო სამუშაოები.

სააგენტომ მოვაჭრის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფარგლების შესაფასებლად 2024 წლის 23 თებერვლის N02/631 და 2024 წლის 26 თებერვლის N02/632 წერილებით გამოითხოვა ინფორმაცია მხარებისგან სადავო ნივთის, ჰიბრიდული ინვერტორის ფუნქციური დანიშნულების შესახებ.

2024 წლის 26 თებერვლის N01/1095 წერილით მომხმარებელი განმარტავს, რომ ინვერტორი დაკავშირებულია მზის სადგურთან სამეურნეო დანიშნულებით და მისი ფუნქციონირება აღნიშნული ნაწილის გარეშე შეუძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით შედავებას არ ახორციელებს არც მოვაჭრე მის მიერ წარმოდგენილ 2024 წლის 29 თებერვალის N01/1174 წერილში, სადაც წარადგენს ინფორმაციას აღნიშნული ნივთის ფუნქციური დანიშნულების შესახებ. წერილში მოვაჭრე განმარტავს, რომ ჰიბრიდული ინვერტორის საშულებით ხდება მზის პანელების მიერ გამომუშავებული მუდმივი დენის გარდაქმნა ცვალებად დენად, ასევე სამარაგო აკუმულიატორების დამუხტვა და სახელმწიფო ელექტრონულ ქსელთან რევერსული დაკავშირება. ამავე წერილით მოვაჭრე იმის საილუსტრაციოდ, რომ მომხმარებლის უფლება არსებითად არ დარღვეულა, აფიქსირებს, რომ აღნიშნული ინვერტორი შეიძლება ჩანაცვლდეს ნებისმიერი სხვა სახის ინვერტორით. ყოველივე ზემოთთქმულის შესაბამისად, ჰიბრიდული ინვერტორი წარმოადგენს ნივთს, რომელიც განკუთვნილია მზის სადგურის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც სივრცობრივ კავშირშია მზის სადგურთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე, სააგენტო ასკვნის, რომ ჰიბრიდული ინვერტორი წარმოადგენს მზის სადგურის შემადგენელ ნაწილს, კერძოდ, საკუთვნებელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

სსკ-ის 324-ე მუხლის თანახმად, თუ პირი იღებს ვალდებულებას, გაასხვისოს ან დატვირთოს თავისი ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნებელზეც, თუკი ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. **საკუთვნებლის** ჩართვა ძირითად ნივთზე დადებულ გარიგებებში ემსახურება იმ მიზანს, რომ შენარჩუნდეს ძირითად ნივთსა და საკუთვნებელს შორის არსებული ეკონომიკური კავშირი[12]. ამასთან, სსკ-ის 324-ე მუხლი დიპოზიციურია, რაც

[12] თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ.119

მხარეებს ანიჭებს უფლებას, შეთანხმდნენ, რომ ნივთის გასხვისების ან დატვირთვის სამართლებრივი შედეგი არ გავრცელდება საკუთვნებელზე. მოცემულ შემთხვევაში მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული ხელშეკრულება მოწმობს, მხარეების შეთანხმებას **საკუთვნებელზე (ინვერტორზე) მთავარი ნივთის სამართლებრივი ბედის გავრცელებასთან დაკავშირებით**, **რაც ნიშნავს იმას, რომ მომხმარებლისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნაკლო ნივთის დეფინიცია გაუთანაბრდა ნივთის მიწოდებას საკუთვნებელთან ერთად.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ნასყიდობის საგანი უნაკლოდ ჩაითვლებოდა თუ მომხმარებელს მზის პანელებთან ერთად გადაეცემოდა ჰიბრიდული ინვერტორი სამონტაჟო მასალებთან ერთად და განხორციელდებოდა მისი მონტაჟი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მოვაჭრის მხრიდან, ნასყიდობის საგნის არასრული შემადგენლობით, კერძოდ საკუთვნებლის გარეშე მიწოდება უთანაბრდება ნივთობრივ ნაკლს, ვინაიდან ნივთი არ არის შესაბამისი მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის არსებული შეთანხმების, რაც წარმოშობს მომხმარებლისთვის კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ამოქმედებას.

ასეთ შემთხვევაში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ მომხმარებელს პირველ რიგში შეუძლია საქონლის ბუნებისა და გამოყენების მიზნის შეუსაბამობის აღმოფხვრა მოითხოვოს ნივთის შეკეთებით ან შეცვლით, ხოლო თუ ნივთის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია, ან არათანაზომიერ/შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა.

საქმეზე C-52/18 სასამართლო განმარტავს, რომ 1999/4413 დირექტივის მე-3 მუხლი მიზნად ისახავს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას მომხმარებლისა და მოვაჭრის ინტერესებს შორის. საქონლის შესაბამისობაზე მსჯელობისას მნიშნელოვანია საქონლის ბუნების, მახასიათებლების მხედველობაში მიღება, ასევე იმ მიზნის განსაზღვრა, რა მიზნითაც მომხმარებელი იძენს კონკრეტულ საქონელს. ამავე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულია უფლების აღდგენის საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო აღმოჩნდება.

კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. ამავე მუხლის მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

მომხმარებლის მიერ წარმოების ყველა ეტაპზე დაფიქსირდა პოზიცია, რომ მისი თვითმიზანია ნივთის მიღება და მზის სადგურის ამუშავება, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებელი ნებას ავლენს ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული პირველი რიგის უფლებებით.

საქმის წარმოების ფარგლებში მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ მოვაჭრის მხრიდან ინვერტორი უკვე შეკვეთილია და შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი

მომხმარებელთან მომხდარი კონფლიქტია, შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე პუნქტით დადგენილი შემთხვევები, რაც დაკავშირებულია შესრულების შეუძლებლობასთან, ან შესრულებასთან დაკავშირებულ არათანაზომიერ დიდ ხარჯთან.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს მე-17 მუხლით დადგენილი პირველი რიგის უფლებით, რაც მოიაზრებს ნივთის უსასყიდლოდ შეკეთებას/ნაკლოვანი შესრულების აღმოფხვრას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის 05 თებერვლის წერილით N01/675 იკვეთება, რომ მოვაჭრემ, ფაქტობრივად, ნაკლოვანი შესრულების აღმოფხვრა სცადა ნასყიდობის ფასის შემცირების გზით. კერძოდ, მოვაჭრე მომხმარებლისგან არ ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის თანხის მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის გადახდას, რაც შეადგენს 1 200 აშშ დოლარს. აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ მომხმარებლისთვის ნაკლიანი შესრულების აღმოფხვრის სანაცვლოდ ფასის შემცირების შეთავაზებად, რა შემთხვევაშიც ფასის შესამცირებელი თანხის ოდენობად მიიჩნევა მომხმარებლის მიერ მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის ოდენობა.

იმის შესაფასებლად, მოვაჭრის მხრიდან ფასის შემცირების შეთავაზება უნდა ჩაითვალოს თუ არა მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენად უნდა შეფასდეს ორი მნიშვნელოვანი გარემობა:

1. არის თუ არა ფასის შემცირება მომხმარებლის ნების შესაბამისი;

2. არის თუ არა შემცირებული ფასის ოდენობა პროპორციული ნაკლოვანი და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებებში სხვაობასთან;

პირველი გარემოების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი წარმოების ყველა ეტაპზე აფიქსირებდა ინტერესს შესრულების მიღებისადმი, 2024 წლის 26 თებერვლის N01/1095 წერილით განიხილავს მოვაჭრის მიერ განხორციელებულ ფასის შეთავაზებას და მიიჩნევს არაპროპორციულად, აღნიშნულის საპირწონედ, ფასის შემცირების ადექვატურ და პროპორციულ ოდენობად უთითებს დამატებით 3 000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ ფასის შემცირება წარმოადგენს ალტერნატიულ მეორადი მოთხოვნის უფლებას, ამდენად, ფასის შემცირების გამოყენება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მომხმარებლის ნებაზეა დამოკიდებული.[13] აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება არის სპეციფიკური და მისი მოქმედების სფერო შემოიფარგლება იმ ხელშეკრულებებში, სადაც საპასუხო შესრულებად ფულადი ანაზღაურებაა მოცემული.[14]

---

[13] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე,183,

[14] ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „ ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004, 56

აღნიშნულ შემთხვევაში შესაფასებელია, მომხმარებლის მიერ 2024 წლის 26 თებერვლის 01/1095 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ფასის შემცირება მომხმარებლის ნებას.

ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, სააგენტო ასკვნის, რომ სააგენტოსთვის მომართვის მომენტში მომხმარებლის მიზანს წარმოადგენდა დარჩენილიყო ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, ფასის შემცირება კი არ შეესაბამებოდა მის ნებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მოვაჭრის ქმედებებით განხორციელდა მომხმარებლის ნების შეზღუდვა. **მოვაჭრემ, ფაქტობრივად, ფასის შემცირება გამოიყენა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობის შექმნის საშუალებად, რაც დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის თავდაპირველი შესრულების ინტერესის რეალიზებას, რაც მოცემულ შემთხვევაში მიიღწევა ნასყიდობის საგნის ყველა შემადგენელი ნაწილის მიღებით.** მომხმარებელი უფლებამოსილი იყო უარი განეცხადებინა ფასის შემცირებაზე და მოეთხოვა ნაკლის აღმოფხვრა, თუმცა მოვაჭრე აღნიშნული მოთხოვნის პასუხად ყოველ ჯერზე აფიქსირებდა კატეგორიულ უარს. ამის შესაბამისად, 2024 წლის 26 თებერვლის 01/1095 წერილით წარმოდგენილი განხილვა ფასის შემცირების ოდენობასთან დაკავშირებით გამომდინარეობს მოვაჭრის აქტიდან, რომელიც მდგომარეობდა ნაკლის აღმოფხვრაზე უარის განცხადებაში, რითაც მომხმარებელს ფაქტობრივად შეეზღუდა უფლება ესარგებლა კუთვნილი კანონით მინიჭებული პირველი რიგის უფლებით.

ცხადია, მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის სავარაუდოდ დარღვეულ უფლების აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკება ემყარება ნების გამოვლენის ავტონომიის პრინციპს ისევე როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა აღნიშნული გამორიცხავს მოვაჭრის მხრიდან იმგვარ ქმედებას, რაც მომხმარებელს აიძულებს მისი ნების საწინააღმდეგოდ წავიდეს იმგვარ შეთანხმებაზე, რაც მის რეალურ ნებას არ შეესაბემება. აღნიშნული მომხმარებელს არ აძლევს კანონით დადგენილ უფლებების რეალიზების რეალურ საშუალებას და არ შეესაბამება კეთილსინდისიერების და გულისხმიერების პრინციპებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვაჭრე მომხმარებელს უზღუდავს კანონის მე-17 მუხლით მინიჭებულ უფლებას.

მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შესრულებისადმი ამჟამინდელი ინტერესის დასადგენად, სააგენტომ 2024 წლის 29 აპრილის წერილით N02/1699 გამოითხოვა ინფორმაცია მომხმარებლისგან, რომლითაც დაზუსტებული იქნა მომხმარებლის ამჟამინდელი მოთხოვნა.

მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის 13 მაისის N01/2596 წერილით, მომხმარებელი აფიქსირებს, რომ ვინაიდან მოვაჭრის მიერ არ განხორციელდა მომხმარებლის პირველი რიგის უფლების დაკმაყოფილება, განიხილავს მეორადი სახელშეკრულებო მოთხოვნის გამოყენებას, რაც მოიაზრებს მოვაჭრის მიერ ფასის შემცირების შეთავაზების განხილვას.

ამავე წერილში, მოხმარებელი შედავებას ახორციელებს ფასის შემცირების თანხის ოდენობასთან დაკავშირებით და ადექვატურ ოდენობად უთითებს დამატებით 480 აშშ დოლარს იმ თანხასთან ერთად, რა თანხითაც ფასიც უკვე ფაქტობრივად შემცირებულია.

შემცირებული ფასის ოდენობის პროპორციულობის შესაფასებლად, უნდა დადგინდეს ნაკლოვან და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებებში სხვაობა, ესეიგი მზის სადგურის ღირებულება ინვერტორით და მის გარეშე.

ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ფასის ოდენობა შეადგენს 3 200 აშშ დოლარს (დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დროისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). აღნიშნული მუხლი ადგენს ანგარიშსწორების ორეტაპიან წესს, რომლის შესაბამისად მომხმარებელს პირველი ტრანშის გადახდა უნდა განეხორციელებინა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, რაც შეადგენდა 2 000 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილი 1 200 დოლარის გადახდა უნდა განხორციელებულიყო ნასყიდობის საგნის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომხმარებელმა დათქმულ ვადაში გადაიხადა პირველი ტრანში - 2 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, გადახდის დროისათვის არსებული ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, რამაც შეადგინა 5,380.00 ლარი, რასაც ადასტურებს მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 19 ოქტომბრის საგადახდო დავალება, ხოლო მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის გადახდა არ განუხორციელებია, ვინაიდან მოვაჭრის მხრიდან არ განხორციელდა მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება საპასუხო შესრულების სახით.

როგორც უკვე აღინიშნა, მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი, 2024 წლის 17 მაისის N01/2672 წერილიდან იკვეთება, რომ მოვაჭრე ნებას არ ავლენს გამოასწოროს ნაკლოვანი შესრულება და გადასცეს მომხმარებელს ნივთი. ამის შესაბამისად კი, მოვაჭრე მომხმარებლისგან არ ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის თანხის მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის გადახდას, რაც შეადგენს 1 200 აშშ დოლარს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხსენებული მიჩნეულია მომხმარებლისთვის ნაკლიანი შესრულების აღმოფხვრის სანაცვლოდ ფასის შემცირების შეთავაზებად, რა შემთხვევაშიც ფასის შესამცირებელი თანხის ოდენობად მიჩნეულია მომხმარებლის მიერ მეორე ტრანშად გადასახდელი თანხის ოდენობა.

განცხადებას თანდართული 2023 წლის 18 ოქტომბრის ინვოისის მიხედვით, მზის ფოტოგალვანური პანელების ღირებულებაა - 1520 აშშ დოლარი, ინვერტორის 1 100 აშშ დოლარი, სამონტაჟო მასალის 200 აშშ დოლარი, სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება კი შეადგენს 380 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე, მზის პანელებისა და ინვერტორის სამონტაჟო მასალებისა და სამუშაობის ჯამური ღირებულებაა 580 აშშ დოლარი. ინვოისში მზის პანელებისა და ინვერტორის სამონტაჟო სამუშაოების/მასალების ცალ-ცალკე ღირებულება გამიჯნული არ არის.

მოვაჭრის მიერ 2024 წლის 17 მაისის N01/2672 წერილით, დამატებით წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, მოვაჭრის მიერ გადაცემული საქონელის და შესრულებული სამუშაოების განფასების შესახებ. მოვაჭრის მითითებით, მომხმარებელს მიეწოდა 1 520 აშშ დოლარის ღირებულების მზის სადგურის შემადგენელი ნაწილები და 480 აშშ დოლარის ღირებულების მზის სადგურის სამონტაჟო სამუშაოები, **რაც ნიშნავს იმას, რომ მოვაჭრე ინვერტორის სამონტაჟო მასალებსა და სამუშაოებს ჯამურად აფასებს 100 აშშ დოლარად (580 აშშ დოლარს - 480 აშშ დოლარი).**

ნასყიდობის ფასის მოთხოვნის მიმართ გამოიყენება ფასის შემცირების შესაგებელი (ვენის კონვენციის 50-ე მუხლი) ნაკლოვანი ნივთის ღირებულების უნაკლო ნივთის ღირებულებასთან

მიმართების პროპორციულად. ნასყიდობის ფასის შემცირება ხდება ნაკლოვანი და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებებში სხვაობის შესაბამისად.[15]

ნაკლოვანი და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებაში სხვაობის დასადგენად მნიშვნელოვანია შეფასდეს ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის ხარისხი. მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სააგენტო ასკვნის, რომ ნივთი ვარგისი არ არის იმ მიზნით სარგებლობისთვის, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ გამოიყენება, კერძოდ, მზის სადგური ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, რაც გამოიხატება მზის სხივების ელექტროენერგიად გარდაქმნაში და ელექტროენერგიის გამომუშავებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად კი, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, **მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. ფასი მცირდება იმ ფარგლებით, რამდენითაც მიმწოდებელმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მოვაჭრის მხრიდან ფასის შემცირების შეთავაზება პროპორციული იქნებოდა და მომხმარებელის უფლება აღდგენილად ჩაითვლებოდა, თუ კი როგორც მინიმუმ შემცირებული ფასის თანხით მომხმარებელი შეძლებდა ჰიბრიდული ინვერტორის, მისი სამონტაჟო მასალების და სხვა ნივთების (რაც მას მოვაჭრისგან არ გადაცემია) შეძენასა და მონტაჟს.**

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში სწორედ მოვაჭრეა ვალდებული ამტკიცოს, რომ მიწოდებული ნასყიდობის საგანი არის უნაკლო.

მტკიცების ტვირთის გადანაწილების კუთხით აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, რომ *შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.*[16]

უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში ავითარებს შემდეგ მსჯელობას: ***„ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა“***[17]

აღნიშნულ შემთხვევაში, მოვაჭრეა ვალდებული ამტკიცოს ნასყიდობის საგნის უნაკლოობა, თუმცა მოვაჭრემ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი ამ ნაწილში. ასევე მოვაჭრის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ მომხმარებლის დარღვეული უფლება, რომელიც დაირღვა ნაკლიანი ნივთის გადაცემით, აღდგა კანონის შესაბამისად.

---

[15] PILTZ, Internationales Kaufrecht, § 5 Rn. 354.

[16]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 04 მაისის გადაწყვეტილება №ას-236-2023

[17] [17]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 07 ივლისის №ას-1408-2022

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ 2024 წლის 17 აპრილის N02/1542 წერილით, მოვაჭრისგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია სადავო ნივთის **საბაზრო** ღირებულების შესახებ შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით.

აღნიშნული წერილის საპასუხოდ, მოვაჭრემ თანდართული ინვოისით წარმოადგინა 2024 წლის 19 აპრილის N01/2291 წერილი, სადაც მოცემულია ინვერტორის თვითღირებულება, 7 603 ჩინური იუანი, რაც იმ მომენტისთის არსებული კურსით მოვაჭრის მითითებით შეადგენდა დაახლოებით 2 800 ლარს. მოვაჭრე უთითებს, რომ აღნიშნულს ემატება განბაჟების, ტრანსპორტირების და კომპანიის მოგების საფასური.

აღნიშნული თანხის ჯამური ოდენობა აჭარბებს 1 200 აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში არ შედის ინვერტორის სამონტაჟო მასალების და სამუშაოების ღირებულება. აქედან გამომდინარე, მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ, ნივთის ღირებულება არსებითად აღემატება 1 200 აშშ დოლარს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფასი არ არის შემცირებული იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად.

წარმოების ფარგლებში მოვაჭრის მხრიდან არ წარმოდგენილა რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც სარწმუნოდ დაადასტურებდა, რომ მოვაჭრის მიერ შეთავაზებული ფასის შემცირების თანხა ადექვატური იყო ნივთის ნაკლთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვაჭრემ ვერ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რის შესაბამისადაც ივარაუდება, რომ ფასის შემცირების შეთავაზება არ არის პროპორციული ნივთის ნაკლთან მიმართებით, შესაბამისად, მოვაჭრის მიერ არ განხორციელებულა მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენა, არც ნაკლოვანი შესრულების გასწორებით და არც ფასის შემცირებით, რომელიც იქნებოდა ნაკლოვანი და უნაკლო შესრულების ობიექტურ ღირებულებაში სხვაობის ადექვატური.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დაევალოს შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ის (ს/ნ 424617365) მომხმარებლისთვის დარღვეული უფლების აღდგენა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ან ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე ფასის პროპორციული შემცირების გზით.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ს (ს/ნ 424617365) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტს.

5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დადასტურდეს მოვაჭრის შპს „ინფინიტი ენერჯი ს კ“-ის (ს/ნ 424617365) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევა.